წელიწადი მეთოთხმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნის მშრომელნო, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბ. პოლიტბიუროს და საქ. საქმის ორგანო

ხელმოწერები მიიღ.: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოსი—10—58, მთა. კონტორის—8—81.

შაბათი, 23 ივლისი 1932 წ. № 170 (3424)

უზრუნველვყოთ გამარჯვება ჩაის ფრონტზე

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩაის ფრონტზე, გასულ წელთან შედარებით, თვალსაჩინო შედეგებს მივაღწიეთ. აღნიშნულ პერიოდში გაშენებული პლანტაციები (პირველ იქნა-სპეც. საქართველოში ჩაის ახალი პლანტაცია გაშენდა 7452 ჰექტარზე, რაც ნახევარი წლის გეგმის 89,7 პროცენტს შეადგენს, ხოლო თუ ამას მიუმატებთ ახლად გაშენებულ ჩაის სანეოგეებსაც, მაშინ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებული იქნება 93 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობებს (სანერგე-ბის ჩათვლით) შესრულებული აქვთ ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმის 120 პროცენტი, კოლმეურნეობებს კი — 86 პროცენტი. მიმდინარე წლის იმავე პირველ ნახევარში ჩაისათვის ნიადაგის მომზადება ასეთ სურათს გვიხატავს: საბჭოთა მეურნეობებში მომზადებული იყო ნიადაგი 1443,9 ჰექტარის რაოდენობით (გეგმის 106,9 პროც.), ხოლო კოლმეურნეობებში — 3.375 ჰექტარი, ანუ გეგმის 60,6 პრო.

ჩაის ფრონტზე ჩვენ ასეთ შედეგებს მივაღწიეთ საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და „საქ. ჩაი“-ს მმართველობის განა ხლებული ხელმძღვანელობის ბოლშევიკური მეთაურობით, ამხ. სტალინის 6 მითითების და საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 4 თებერვლის დადგენილების ცხოვრებაში გატარებით. მაგრამ ამ მიღწევებით, განსაკუთრებით ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების დარგში, ჩვენ არავითარ შემთხვევაში რ უნდა დავკმაყოფილდეთ. თუნდაც ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობები დავალიანებით შეედნენ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში, იმას ამტკიცებს, რომ ჩაის ფრონტზე კიდევ უფრო მეტი ენერგიის და სიფხიზლის გამოჩენაა საჭირო.

პარტია და ხელისუფლება ჩაის რაიონებს 1932 წლის მეორე ნახევარშიც უდიდეს მოვალეობას აკისრებს. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ჩაისათვის ნიადაგი უნდა მომზადდეს, სულ 10.445 ჰექტარზე, აქედან საბჭოთა მეურნეობებში — 1398 ჰექტარი, ხოლო კოლმეურნეობებში 9.047 ჰექტ., გარდა ამისა წელს ჩაის ნარგაობებს სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ ჩაის მწვანე ფოთოლის 2.014.000 კილოგრამის რაოდენობით. საბჭოთა მიურნეობებმა და კოლმეურნეობებმა (ინდივ. სექტორის ჩათვლით) ჩაის ძველ პლანტაციებზე უნდა ჩაატარონ პირველი, მეორე და მესამე თოხნა; ამისათვის ნათესების დამუშავების კონკრეტული ვადები უკვე მოცემულია.

ამჟამად ჩაის რაიონებში მიმდინარეობს: ნიადაგის მომზადება ახალი პლანტაციების გასაშენებლად, ნათესების მეორე თოხნა და ჩაის მწვანე ფოთოლის კრეფა. რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ სამუშაოთა ამ დარგში? უნდა ითქვას, რომ არადამაკმაყოფილებელი. საქ. ჩაკოლმეურნეობათა ცენტრის ცნობით, 15 ივლისისათვის კოლმეურნეობებს ჩაისათვის ნიადაგი მომზადებული ქონდათ 142.9 ჰექტარზე, რაც მიმდინარე წლის მეორე ნახევრის 1,3 პროცენტს შეადგენს, იმავე 15 ივლისისათვის ოზურგეთის, ჩოხატაურის, სამტრედიის, ქობულეთის, ზუგდიდის და ხობის რაიონები ნიადაგის მომზადებას არ შესდგომოდნენ. ამ მდგომარეობას რაიონულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ, მათ მიცემულ სამრეოო დავალებათა დაზუსტებულ ვადებში შესრულების ირგვლივ მჭიდროდ უნდა რაზმონ კოლმეურნეები და ინდივიდუალურ ღარიბ, საშუალო გლეხთა მასები.

არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს აგრეთვე ჩაის ნათესების დამუშავება კოლმეურნეობებში. მაგალითად, მეორე თოხნას უკანასკნელ ვადათ დაწესებული იყო 20 ივლისი, 15 ივლისისათვის კი მეორე თოხნა ჩატარებული იყო 4693 ჰექტარზე, რაც გეგმის მხოლოდ 21,3 პროცენტს შეადგენს. ასე თვით მდგომარეობაა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დარგში. მაგ. — „საქ. ჩაი“-ს სამმართველოს ცნობით, 20 ივლისისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა (საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში) შესრულებული იყო მხოლოდ 43,2 პროცენტით (მოიკრიფა 34825 კილოგრამი), ჩაის მწვანე ფოთლის მეორე კრეფის დარგში ჩამორჩენა სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, წალენჯიხის და გალის საფაბრიკო რაიონები, სადაც გეგმის შესრულება არ აღწევს 35 პროცენტსაც კი. შედარებით სხვა საფაბრიკო რაიონებთან, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ლანჩხუთის, ოზურგეთის და ქობულეთის საფაბრიკო რაიონებში.

ამჟამად ჩაის ფრონტზე არსებულ ჩამორჩენათა მიზეზები იმით უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციები, განსაკუთრებით ჩაის სექტორები, თვითმიმდინარეობაზე დაეყრდნენ და არ გააძლიერეს ამ საბრძოლო ამოცანების ირგვლივ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ, საშუალო გლეხთა მასების ყურადღება. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ საკმაო სიმაღლეზე არა სდგას შრომის ორგანიზაცია, მოუწესრიგებელია შრომის აღრიცხვა, არ არის რაციონალურად და სრული დატვირთვით გამოყენებული მუშა-ხელი. ადგილი აქვს მუშაობაში გაუპიროვნებას, სუსტად არის გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა და სხვ. ასევე ითქმის ზოგიერთ ჩაის საბჭოთა მეურნეობაზე, სადაც დღემდე კიდევ ადგილობრივ ორგანელებს არ იბრძვიან 6 პითითების საფუძველზე მუშაობის გარდასაქმნელად. საბჭოთა მეურნეობებში საკმარისი ენერგიით არ სწარმოების მუშა-ხელის გეგმიანად შეგროვება, მოუწესრიგებელია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები (ლა ითური, ხონი და სხვ.).

საქ. შრომის სახკომისარიატმა და რაიონის შრომის ინსპექტორებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ რაიონერბ ს მიხედვით იქონიონ ფაქტიურად არსებული ჭარბი მუშა-ხელის ბალანსი, რათა თავიდან იქნას აცილებული ის მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა ზოგიერთ რაიონებში.

ჩაის რაიონული ორგანიზაციების მუშაობა შეფასებული იქნება იმის მიხედვით, თუ როგორ შეასრულებენ ისინი პარტიის და ხელისუფლების დავალებას ჩაის დარგში. მუშაობაში ოპორტუნისტულ თვითმდინარეობაზე იმედების დამყარებას, მოდუნებას და უპასუხისმგებლობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეუცხადოთ. მტკიცედ უნდა გავახსოვდეს, რომ „ამერ-კავკასიამ მეორე ხუთწლედში ძირითადათ უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ“. საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების ამ საბრძოლო პროგრამის შესრულების ირგვლივ უნდა დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები.

გერმანიაში იწყება სამოქალაქო ომი

მოსკოვი, 21 ივლისი. „პრავდა“ წერს:

„უკანასკნელ დღეებში მთელ გერმანიაში, განსაკუთრებით პრუსიაში, ვითარდება სამოქალაქო ომი. ფაშისტები თავს ესხმიან მუშათა დემონსტრაციებს და კრებებს, პროფკავშირთა სახლებს და კოოპერატიული გაზეთების რედაქციებს. რევოლუციონერ მუშებს ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ მათ. ფაშისტების თავდასხმის დროს ხელისუფლების ორგანოები არავითარ დახმარებას არ უწევენ მუშათა ორგანიზაციებს და მუშების იძულებითი თავდაცვას უწევსოებად აცხადებენ. მუშების წინააღმდეგ ამოქმედებულია პოლიცია და რეიხსვერი, მიუხედავად ამისა მუშათა კლასის წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო იზრდება. მუშათა სულ უფრო და უფრო მეტი მასა ებმება მძაფრობაში სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც მუშებს მოუწოდებენ არ გამოვიდენ ქუჩებში და „გადაიდენ ქალაქ გარეთ“, ასეთ პირობებში ბურუაუაზიის ხელმძღვანელი წრეები იძულებული შეიქნენ ფაქტიურად შეეცვალათ ვეიმარის კონსტიტუცია და გამოეცხადებინათ საალყო წესები. მინდენბურგმა გაამეცა ზვეარინგი, ბრაუნი და გრეჟენსკი მიუხედავად იმისა, რომ მათ თავი გამოიჩინეს ერთგული სამსახურით და ჰამბურგის მუშების ხოცვა-ჟლეტით. მათ ადგილზე დანიშნულია ჩ.ციონალ-სოციალისტებთან დაახლოებული ბრახტი, მელხერი და რუნდშტედტი, რომლებმაც უნდა ჩაახშონ მუშათა კლასის მძაფრობა სამხედრო სასამართლოებისა და სიკვდილით დასჯის საშუალებით. ბურუაუაზიის მთელი ძალები ერთანდებიან მუშათა მოძრაობის ჩასაკრობად და მისი ხელმძღვანელის—კომუნისტური პარტიის ასალაგმავად. ნაციონალ-სოციალისტი ჰერინგი წინადადებას აძლევს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრს გაალს გადადგეს, ვინაიდან მას არ შეუძლია უზარი საკმარისად განავითაროს ტერორი. ჰერინგი აცხადებს, რომ მოიერიშე რაზმებს მიეცემათ მთითება გამოვიდენ იარაღით ხელში და რომ შეიარაღებული რაზმები 24 საათში აღგვიან დედამიწის პირიდან ყველა წითლებს.

ჩეკიალ-დემოკრატები ასეთ პირობებში მთელს იმედს ამყარებენ საიმპერიო სასამართლოზე და რეიხსტაგის 81 იენოხის არჩევნებზე 31 ივლისს. სოციალ-დემოკრატები განაგრძობენ მუშათა მთელიანი ფრონტის ჩაშლას. გერმანიის პროლეტარიატი მეტად სერიოზული ამბების წინაშე დგას. მხოლოდ კომპარტია აწარმოებს ბრძოლას პაპენის ფაშისტური მთავრობის წინააღმდეგ. (ადს).

კოლიციის თავდასხმა გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტზე

ბერლინი, 21 ივლისი. 20 ივლისს, ღამით, კარლ ლიბკნეხტის სახლში, სადაც მოთავსებულია გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, „როტე ფანე“-ს რედაქცია და სტამბა, გამოცხადდა პოლიციისა და პოლიტიკური პოლიციის მოხელეთა რაზმი, რომელმაც დაიკავა „როტე ფანე“-ს სტამბა. სტამბის ყველა მანქანები გამოაცხადეს კონფისკაციაქმნილად (ადს).

კერლის მიმოსვლა

ბერლინი, 21 ივლისი. შტუტგარდტში შემდგარ სააჩენენო კრებაზე გამოვიდა პრუსიის ლანდტაგის თავმჯდომარე ნაციონალ-სოციალისტი კერლი, რომელმაც სახარულოდ გამოსთქვა, რომ გერმანიის მთავრობა ასე სწრაფად გაამეპასპორა მის მოთხოვნას პრუსიაში მდგომარეობის შეცვლის შესახებ. (ადს).

გერმანიაში გადაადგილებას კიდევ მთელი რიგი მინისტრები

ბერლინი, 21 ივლისი. მთავრობამ გადაწყვიტა გადაადგილება აგრეთვე პრუსიის მთავრობის ის მინისტრებისა, რომლებიც კიდევ თავიანთ პოსტებზე დარჩენ. თანამდებობიდან მოხსნილმა პრუსიის პრემიერ-მინისტრ ბრაუნმა რეიხსკანცლერ ფონ-პაპენს მიმართა წერილით, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ თავის გადაყენებას სთელის ყოველგვარ უფლებრივ საფუძველს მოკლე ბულად.

ბერლინის პოლიცია-პრეზიდენტმა გრაფ ზინსკის, პოლიციე-პრეზიდენტის მოადგილემ გეისმა და პოლიციის უფროსმა პოლკოვნიკ ჰეიმანსბერგმა, თვითეულმა ცალკე, ხელი მოაწერეს შემდეგ განცხადებას: „თანამდებობიდან ჩემი ძალით გადაყენების შემდეგ მე ვეცხადებ, რომ მზად ვარ თავი ვდებ ჯარის სამსახურის ხასიათის ყოველგვარ შემდგომ მოქმედებისადგან“.

ასეთ განცხადებაზე ხელმოწერის შემდეგ ბერლინის პოლიციის სამიეე ხელმძღვანელი გაანთავისუფლეს (ადს).

პრუსიის მთავრობის წევრთა სია

ბერლინი, 21 ივლისი. რეიხსკანცლერი ფონ-პაპენი სასწრაფო წესით ადგენს პრუსიის მთავრობის წევრთა სიას: შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია ბრახტი, ეკავრობის მინისტრად დანი, ბახკების ზედამხედველი სახელმწიფო კომისარი ერნსტი, მეწყობრმშენებლების მინისტრად ვ. ბაიის ადრინდ. მინისტროს სტატსმდივანი შტეგერვალდი და ფინანსთა მინისტრად პრუსიის ფინანსთა სამინისტროს სტატსმდივანი შვერინგერი (ადს).

დაწვრილებითი ცნობები ალტონის ამბების შესახებ

ბერლინი, 21 ივლისი. „ნეარ მონტაგსციტუნგ“-ი შემდეგნაირად აღწერს იმ სისხლიან ამბებს, რომელთაც 17 ივლისს ადგილი ქონდა ალტონში (ჰამბურგთან მდებარე ქალაქი) ნაციონალ-სოციალისტე ბსა (ფაშისტებსა) და მუშებს შორის:

5000-მდე ნაციონალ-სოციალისტმა, რომლებიც შლეზვიგ-ჰოლშტინის საშრომო ნაწილიდან ჩამოვიდენ, მოაწყვეს მსვლელობა ალტონის ქუჩებზე ჰამბურის მიმართ მიმავალ ნაციონალ-სოციალისტების კოლონის ფლანგზე. მუშათა კვარტალთან მიახლოვებისას ნაციონალ-სოციალისტები ცდილობდენ პროფკავშირების შენობის დაკავებას, მაგრამ მათ სროლა ატეხეს მუშებზე. ნაციონალ-სოციალისტების მსროლელებმა დაიჭირეს პოლიციელების მიერ წინასწარ მომზადებული ბარიკადები, რომლებიც გადაკეტეს მათ გზას. ნაციონალ-სოციალისტების ხელმძღვანელებმა ბარიკადის გადალახვა ვერ შეძლეს. ამის შემდეგ ნაციონალ-სოციალისტებმა ქალაქის სხვა ნაწილებში დაიწყეს ტერორის ორგანიზაცია. ალტონის ბრძოლის დროს ნაციონალ-სოციალისტებმა ისროლეს 60-მდე ტყვია. ალტონში და მის შემოგარენში ნაციონალ-სოციალისტების ცდილობდენ პროფკავშირების შენობების ხელში ჩაგდებას, მაგრამ ყველგან მათ მოეგერიენ მუშები. ალტონში ნაციონალ-სოციალისტების ერთ-ერთი ბანდა ცდილობდა ალტონის ელექტრო-სადგურის აფეთქებას, მაგრამ ეს ბანდა პოლიციამ დაიჭირა. ალტონში ნაციონალ-სოციალისტების ბანდებმა ისროლეს ტყვია ალტონის ბანკის ბინაზე, სადაც ცხოვრობს ებრაელი ბანკირი ვარბურგი. ალტონის ბრძოლის დროს

ვატარებთ პოლიტდღეებს კოლმეურნეობებში და საწარმოებში

გადავაქციოთ პოლიტდღე სააგიტაციო მასიური მუშაობის მუდმივ ვეთერად

„კოლმეურნეობებში პოლიტდღის მოწყობასთან და მასში ინდივიდუალურ მუშაობასთან ერთად, ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ სთვლის ჩატარდეს პოლიტდღე საბჭოთა მეურნეობებში და აგრეთვე ქალაქის საწარმოებში“

(სახ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილების დან)

პოლიტდღეების ჩატარებას — პარტორგანიზაციების კონკრეტული ხელმძღვანელობა

პრესის მიმოხილვაში ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ—„პრავდა“-მ მოიწონა გაზეთ „ტიფლისის რაბოჩი“-ს ინიციატივა პარტიის და ხელისუფლების დადგენილებათა პოპულიარიზაციისათვის კოლმეურნეობებში პოლიტდღის ჩატარების შესახებ და აღნიშნა, რომ „საკოლმეურნეო პოლიტდღე, უფრო სწორად პოლიტსაღამო, ვინაიდან იგი ჩვეულებრივად ტარდება მინდვრად მუშაობის დამთავრების შემდეგ, უნდა გახდეს მასიური, ცოცხალი ფორმა“. პოლიტდღეების ჩატარება მოიწონა აგრეთვე სკპ. ქ. პ. (ბ) ა.-ქ. სამხარეო კომიტეტმა და სკპ. ქ. პ. (ბ) ცეკას რომლებმაც წინადადება მისცა ყველა პარტორგანიზაციებს, რათა წარმატებით ჩაეტარებინათ საკოლმეურნეო პოლიტდღე შემოდგომა-ზამთრის კამპანიის და საწარმოო-საფინანსო-მასიური მუშაობის სიხტიმაში.

პოლიტდღე ეს საგიტაციო მასიური მუშაობის სრულიად ახალი მეთოდია; ამ მხრივ ჩვენს პარტორგანიზაციებს არ აქვთ სათანადო გამოცდილება; გაზეთ „ტიფლისი რაბოჩი“-ს მიერ ამ მხრივ ჩატარებულმა მუშაობამ კი ნათელყო, რომ პოლიტსაღამოების ჩატარება კოლმეურნეობებში და ღარიბ-საშუალო გლეხობისათვის სწორი ამომწურავი პასუხის გაცემე ყველა მათთვის გაუხაზავს საკითხებზე, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა პარტიისა და ელისუფლების დადგენილებათა ცხოვრებაში უსუნველ გატარებისა და ამ დადგენილებების ირგვლივ მუშა-გლეხთა ფართო მასის მობილიზების დასაზღვისათვის.

ცხადია, მასიური საგიტაციო მუშაობის ამ სამაგალითო მეთოდს მაგრად უნდა ჩაჭიდოთ ხელი, ის უნდა გავიხადოთ ჩვენი მუშაობის ყოველდღიურ საზრუნავ საგნად.

ხაქ. კ. პ. (ბ) ცეკას ბიურომ მიიღო სპეციალური დადგენილება პოლიტდღეების ჩატარების ფართოდ გამოყენებისათვის. ამ დადგენილების განხორციელებისათვის უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი: ცენტრალური გაზეთების რედაქციების მიერ რაიონებში გაიგზავნება ბრიგადები, რომლებიც მოსამზადებელი მუშაობის შედეგად შეუდგებიან პოლიტსაღამოების ჩატარებას.

არ უნდა დავგვიწყდეს, რომ „პოლიტდღის ამოცანაა მიეცეს კოლმეურნეებს და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეებს სწორი და ამომწურავი პასუხი მათ თვის საჭიროთოროტო საკითხებზე, განმარტოს მათ პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა აზრი ამა თუ იმ რაიონის და სოფლის კონკრეტულ პირობებთან შესაბამისად,—ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებს პარტორგანიზაციებს არ ჩაატარონ პოლიტდღეები კოლმეურნეობებში საქმიო მოსამზადებელი მუშაობის გარეშე. ცენტრალური კომიტეტი მოუთმენლად ელის პარტიის ყველა რაიკომებს, რომ პოლიტდღის ჩატარებაში გამოკეთებული უნარდღება უნდა მიექცეს მოკლედ მოსამზადებელ მუშაობის ხარისხს და აღნიშნავს, რომ „პოლიტდღეები ჩატარდეს ისე, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებში არ გაჩნდეს ფორმალური დამოკიდებულება ამ საქმისადმი“.

სამზადისი ადგილებზე

აბპარისტანი

აბპაროლქომის ბიურომ მიიღო დადგენილება კოლმეურნეობებში პოლიტ დღეების ჩატარების შესახებ.

ამ დადგენილებაში აღნიშნული არის ის, რომ კოლმეურნეობებში პოლიტდღე უნდა ჩატარდეს პარტიისა და ხელისუფლების ამ დადგენილებების ფართო პოპულიარიზაციისათვის, რომლებიც გულისხმობენ პურის და პირუტყვის დაზღვევას, საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლას, ახალი სას. სამეურნეო გადასახადს, და სხვ. მთელი მუშაობა უნდა დაეფუძნოს შრომის მოსვლის აღებას, და მოსამზადებელი მუშაობის გაშლას საშემოდგომოსას. ს.-პ. კომანდისათვის.

გაზ. „ხაბჭოთა აბპარისტანის“, ბათუმის რაიონის“ და „ჭოხეთელი კოლმეურნე“ რედაქციებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ შეუდგნენ მასიური მოსამზადებელი მუშაობის პოლიტდღეების ჩატარებისათვის კოლმეურნეობებში.

ოლქკომის ბიუროს დადგენილებით, პირველად პოლიტ-დღეები მოეწყობა ბათომის და ქობულეთის კოლმეურნეობებში. აღნიშნული რაიონის პარტიულ კომიტეტებს დაევალათ ამოირჩიონ 3—4 კოლმეურნეობა და გაიხადონ მუშაობა ამ კოლმეურნეობებში პოლიტდღეების, იელისის თვის ბოლოს და აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩატარებისათვის.

აბპარელი.

ბათომის რაიონი

ბათომის პარტრაიკომმა გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯი კოლმეურნეობებში პოლიტდღეების ჩასატარებლად.

რაიკომის დადგენილების პოლიტდღეც ჩატარდება ლენინის სახ. კოლმეურნეობაში. „ახალ წამოწყებაში“ და „გლეხის გამარჯვებაში“.

პოლიტდღის ჩატარებისათვის კოლმეურნეობებში მიმაგრებული იქნება აგიტბრიგადები, ხაბჭოთა მუშაკები, ტრაქტორისტები, ექიმები და სხვ.

ბათომის პარტორგანიზაციებმა გაიმასა მუშაობა; კალინინის სახ. ჭარხალის, ტრაქტორის, აბრეშუმის ფაბრიკის და სხვ. საწარმოების პასუხისგებელ მუშაკებს ბოლშევიკურად ემზადებიან პოლიტდღეების ჩატარებისათვის.

ადსანიშნავია ხაჭართველოს მთელი რიგი რაიონების მზადება გამომაზურება პოლიტდღეებისადმი. ასე მაგალითად, ჭუთაისის რაიონმა პოლიტდღე ორ კოლმეურნეში. უკვე 17 ივლისს ჩაატარა; პოლიტდღის ჩატარების ათვის ემზადება ბათომის, ქობულეთის და ლანჩხუთის რაიონებიც, ხოლო ახალციხე-ბანჯალოს რაიონში, სადაც „ტიფლისი რაბოჩი“-ს პირველად ჩაატარა პოლიტდღე, კოლმეურნეები და ღარიბ-საშუალო გლეხები დაჭილნენი მოსამზადებელი მუშაობის ხარისხს და აზრს პარტორგანიზაციებისათვის ფართოდ მუშაობის პოლიტდღეების მნიშვნელობის შესახებ“. (სახ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებიდან).

მაშასადამე ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოსამზადებელი მუშაობის ფარგოდ გაშლას მივაღწიოთ მთელი ყურადღება და უზრუნველყოთ ის კონკრეტული პარტ- ხელმძღვანელობით.

პოლიტდღეების ჩატარებას უდიდესი ნაყოფის მოცემა შეუძლია ფაბრიკა-ქარხნებში, რადგან „თვითეული უფროსი, თვითეული პარტკომის მთავარი გადაბრუეტ ამოცანას შეადგენს მასიური განსაზღვრული საწარმოს, საამქროს და რგოლის ყველა მუშების მობილიზაცია პოლიტიკური გაელეთნს, პოლიტიკური პოლიტიკური ზემოქმედების ქვეშ“. (კაგანოვიჩი).

ამ მხრივ თბილისის მთელი რიგი საწარმოები დამაკმაყოფილი ტემპებით გაემართა მუშაობა; კალინინის სახ. ქარხანას, ტრაქტორის, აბრეშუმის ფაბრიკის და სხვ. საწარმოებში პასპორტიზაციების გრძელვადიან